

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს შეფასების შედეგი:

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	92	100

ლევან მიქაბერიძე

თარიღი

19.07.2024წ





ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს

შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ირაკლი ბონდარენკო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო
ასაკი: 48 წელი
განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი (სტუ)
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 25 წელზე მეტი
მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 15 წელი და 1 თვე
მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თარიღი: 2009 წლის 9 ივნისი
სამუშაო ადგილი: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა (სასამართლოს თავმჯდომარე)

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

- ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

- გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ე) ფინანსური ვალდებულება;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა (35¹ მუხლის მე-4 პუნქტი).

მომიებული ინფორმაციის მიხედვით, რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას და სამართლიანობის გრძნობას, საქმიანად მიერთვულებას, მიუკერძოებლობას, პრინციპულობას, პუნქტუალურობას, კომპეტენტურობასა და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. დაფიქსირებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 2 ფაქტი (დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად).

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და 'ხეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული

სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა (35¹ მუხლის მე-5 პუნქტი).

კანდიდატი არის ზეგავლენის მიმართ მედეგი, პიროვნულად მტკიცე და შეუვალი. არის დამოუკიდებელი, ობიექტური და სამართლიანი. რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკურ თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაქერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური საქმეების მიმდინარეობისას (35¹ მუხლის მე-6 პუნქტი).

კანდიდატი მშვიდი, გაწონასწორებული და კორექტულია. გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა თავდაქერილობისა და საკუთარი ემოციების მართვის კარგი უნარი. გააჩნია მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ზედმიწევნით იცავს სამოსამართლო ეთიკას. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. საანგარიშო პერიოდში, მას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის რამდენჯერმე უფიქსირდება (ჯარიმები გადახდილია დროულად).

მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა (35¹ მუხლის მე-7 პუნქტი).

კანდიდატს გააჩნია კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია. რეკომენდატორები გამოაქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. კონკრეტული ფაქტი, რაც უარყოფითად აისახებოდა კანდიდატის რეპუტაციაზე არ გამოვლენილა.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

ფინანსური ვალდებულება

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულებების შესახებ (35¹ მუხლის მე-8 პუნქტი).

არ გამოვლენილა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულებების მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას ირაკლი ბონდარენკო შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:

- ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
- ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- გ) წერის უნარი;
- დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
- ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- ზ) პროფესიული აქტივობა;

სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე (35¹ მუხლის მე-9 პუნქტი).

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები და განჩინება (№28/3577-17, 13.12.2017წ.; №28/2968-18, 18.10.2018წ.; №28/2225-21, 10.11.2021წ.), რასაც გავეცანი საფუძვლიანად. გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია. გაავანალიზე საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები, რაც მამლევს საფუძველს დავასკვნა, რომ კანდიდატი სიღრმისეულად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობას. გააჩნია ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. დასმულ სამართლებრივ და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. გამოვლინდა გარკვეული ხასიათის ხარვეზები. იყო კითხვები, რომელზეც კანდიდატმა სათანადოდ და სიღრმისეულად ვერ ისაუბრა (მაგალითად, უშუალო დემოკრატიის ფორმებთან დაკავშირებით არ განავრცო სიღრმისეული და ამომწურავი მსჯელობა და სხვა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - **18** ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა (35¹ მუხლის მე 10 პუნქტი).

წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ საკუთარ პოზიციებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად და დასაბუთებულად. მას გააჩნია კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. გადაწყვეტილება შეესაბამება - მისთვის დამახასიათებელ დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს. კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის მრავალწლიანი, (25 წელზე მეტი), მათ შორის მოსამართლედ მუშაობის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება (15 წელი და 1 თვე). სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოში, სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ამჟამად არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - **17** ქულით.

წერის უნარი

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი (35¹ მუხლის მე-11 პუნქტი).

კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, მარტივად და გასაგებად. მსჯელობა არ არის გადატვირთული და არის აღქმადი და ლაკონური. გადაწყვეტილებაში საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარეობები გადმოცემულია სრულყოფილად და თანმიმდევრულად. დაცულია საპროცესო აქტის სტრუქტურა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს **17** ქულით.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა (35¹ მუხლის მე-11 პუნქტი).

კანდიდატი მეტყველებს გამართულად. ავლენს სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარს. სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას არის ღია და გახსნილი. არ გაურბის საკუთარ აზრის დაფიქირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - **15** ქულით.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევა

პროფესიული თვისებების (მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის) მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა (35¹ მუხლის მე-12 პუნქტი).

კანდიდატს ახასიათებს შრომისმოყვარეობა. არის ორგანიზებული და მენეჯერული უნარ-ჩვევების მატარებელი, რაშიც მას ეხმარება მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. არის გულმოდგინე და გააჩნია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 96.5%. ვადის დარღვევით -

3.5%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 57.9% მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით - 42.1%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილებათა უცვლელობა შეადგენს 92.9%, ხოლო შეცვლილი გადაწყვეტილება 7.1%. საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს 58 საქმე (მხედველობაში მისაღებია, რომ საანგარიშო პერიოდში მოსამართლე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ამდენად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მასზე საქმეთა განაწილება ხორციელდება განსხვავებულად, შემცირებული პროცენტული მაჩვენებლებით.)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს **15** ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა (35¹ მუხლის მე-13 პუნქტი).

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო შეხვედრასა და სემინარში. აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. ყოველივე აღნიშნული, კი მეტყველებს კანდიდატის თვითგანვითარების უნარზე, სიახლეების მიმართ ღიაობასა და ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესზე. აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს საკუთარ საქმიანობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს **5** ქულით.

პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა (35¹ მუხლის მე-14 პუნქტი).


აღსანიშნავია, რომ კანდიდატი 2017-2021 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს 5 ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

ოითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატი ირაკლი ბონდარენკოს ვაფასებ 92 ქულით.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე



თარიღი: 19.07.2024წ.